ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ ალექსანდრე კვიტაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ახალმა რეალობამ – უნივერსიტეტთან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერთებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უნივერსიტეტის ცხოვრებაში: ახალ საფეხურზე აიყვანოს სამეცნიერო კვლევები, ხელი შეუწყოს სამეცნიერო კადრების აღზრდას, უფრო მრავალფეროვანი და ეფექტური გახადოს სასწავლო პროცესი, ხელი შეეწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ვფიქრობთ, რომ ახალი რეალობა სასარგებლო უნდა იყოს ასევე ინსტიტუტებისთვისაც: გაუმჯობესდეს სამუშაო პირობები, გაიზარდოს ანაზღაურება, მოხდეს ინსტიტუტების ჩართვა სასწავლო პროცესში,.

მაგრამ ამ ახალ რეალობას არ ითვალისწინებს უნივერსიტეტის დღევანდელი წესდება და საქართველოს შესაბამისი კანონებიც, რაც უდავოდ ხელს შეუშლის უნივერსიტეტში ინსტიტუტების ეფექტური ინტეგრაციის პროცესს.

ამასთან დაკავშირებით გთხოვთ, შექმნათ სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები და რომელიც:

1. შეიმუშავებს უნივერსიტეტში ინსტიტუტების ინტეგრაციის სტრატეგიას;
2. მოამზადებს ცვლილებებს უნივერსიტეტის წესდებაში, სადაც განისაზღვრება ინსტიტუტების როლი და ფუნქციები უნივერსიტეტში, მათი მართვის მექანიზმები, თანამონაწილეობა უნივერსიტეტის მმართველობით და აკადემიურ სტრუქტურებში, მონაწილეობა სამეცნიერო კადრების, მათ შორის დოქტორანტების, მომზადებაში, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში;
3. მოამზადებს წინადადებებს საქართველოს კანონებში სათანადო ცვლილებების შესატანად, რომელთა შედეგად დაზუსტდება "დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის" ცნება, როლი, უფლებები, ვალდებულებები, სტრუქტურა და სხვა ინტეგრაციისათვის საჭირო ცნებები, ინტეგრირებული ინსტიტუტების მართვის წესები;
4. ოპერატიულად განიხილავს და მოამზადებს წინადადებებს უკვე შექმნილ პრობლემებთან დაკავშირებით: კომუნალური გადასახადების, გრანტების ზედნადები ხარჯების, საბიუჯეტო და საგრანტო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების და სხვა;
5. ოპერატიულად განიხილავს მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მომზადებაში ინსტიტუტების ჩართვის საკითხს.

პატივისცემით,

თორნიკე ქადეიშვილი